

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი N4

დაბა ხულო

30 აგვისტო 2017 წელი

სხდომას
თავმჯდომარეობდა:

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საკრებულოს აპარატის უფროსი - ლევან ქედელიძე;

სხდომას ესწრებოდნენ:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - დავით თავართქილაძე;

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხულოს რაიონული საბჭოს თავმჯდომარე, კომისიის წევრი - ემზარ დეკანაძე;

შ.პ.ს გაზეთ „ხულოს“ კორესპონდენტი, კომისიის წევრი - რიბანა მელაძე;

სხდომას არ ესწრებოდნენ:

საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო და საინფორმაციო საკითხებში, კომისიის წევრი - მზიური ბოლქვაძე - იმყოფება კუთვნილ ანაზღაურებად შვებულებაში

დღის წესრიგი

1. ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის მესამე ეტაპის - გასაუბრების შედეგების განხილვა;
2. ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებულ ვაკანტურ თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის საბოლოო შედეგები;

მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე - ლევან ქედელიძე

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის (ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) ლევან ქედელიძის ინფორმაცია ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებულ ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის მესამე ეტაპის - გასაუბრების ჩატარებისა და კომისიის წევრების მიერ კენჭისყრის შედეგების თაობაზე, ასევე წარმოდგენილი იქნა ღია კონკურსის მეორე ეტაპის - ზეპირი დავალებისა და მესამე ეტაპის - გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით თითოეული კონკურსანტის შეფასების შესახებ, რომლითაც განისაზღვრა კონკურსის საბოლოო შედეგები და გამოვლენილი იქნა საუკეთესო კანდიდატი.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ ღია კონკურსის მესამე ეტაპზე - გასაუბრებაზე კონკურსში მონაწილე თორმეტი კონკურსანტიდან გამოცხადდა და რეგისტრაცია გაიარა სამმა კონკურსანტმა, მესამე ეტაპზე - გასაუბრების დროს კომისიის წევრების მიერ გათვალისწინებული იქნა კონკურსანტების მიერ მეორე ეტაპის შედეგები ასევე ძირითადი ყურადღება მიქცეული იქნა კონკურსანტის უნარ ჩვევებსა და პიროვნულ თვისებებზე რაც აუცილებელია აღნიშნული კონკურსით გამოცხადებულ ვაკანტურ პოზიციისათვის.

აზრი გამოქვეს:

კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ (საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) დავით თავართქილაძემ - აღნიშნა, რომ კონკურსის მესამე ეტაპზე - კომისიის წევრები შეფასებისას იყვნენ ობიექტურები თითოეული კანდიდატის მიმართ, კონკურსში მონაწილე კანდიდატები შეფასებული იქნენ მათ მიერ დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხებისა და გამოვლენილი უნარ-ჩვევების შესაბამისად.

რიბანა მელაძემ აღნიშნა, რომ ღია კონკურსის მესამე ეტაპზე - გასაუბრებაზე კონკურსანტებს ჰქონდათ შესაბამისი პირობები იმისათვის, რომ მათ მაქსიმალურად წარმოედგინათ საკუთარი თავი,

კომისიამ გადაწყვიტა:

1. ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში პროფესიულ საჯარო მოსამსახურის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის მესამე ეტაპზე გამოცხადებული კანდიდატებიდან კომისიის წევრების მიერ (კენჭისყრის საფუძველზე) საუკეთესო კანდიდატად გამოვლენილ იქნა ირინა მელაძე (პ/ნ - 61009020698)

მოისმინეს

1. მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ლევან ქედელიძის ინფორმაცია ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებულ ვაკანტურ თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის საბოლოო შედეგებთან დაკავშირებით - კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში პროფესიულ საჯარო მოსამსახურის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარებულ იქნა „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2017 წლის 3 აგვისტოს სსიპ „საჯარო სამსახურის ბიურო“-ს ადმინისტრირებულ ვებგვერდზე hr.gov.ge გამოცხადდა ღია კონკურსი (ვაკანსიის N44463), ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში პროფესიულ საჯარო მოხელის ვაკანტურ - ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის საქმისწარმოების საკითხებში პოზიციაზე, სულ შემოვიდა 12 განაცხადი, განცხადების გადარჩევის ეტაპზე ყველა განცხადებამ დააკმაყოფილა დადგენილი მოთხოვნები და კონკურსანტები გადაყვანილ იქნენ მეორე (ზეპირი დავალება და მესამე (გასაუბრება) ეტაპებზე, კონკურსის მესამე ეტაპზე დარეგისტრირებული 12 კონკურსანტიდან გამოცხადდა 3 კონკურსანტი კომისიის წევრების გადაწყვეტილებით სამივე კონკურსანტი გადაყვანილ იქნა კონკურსის შემდეგ ეტაპზე - გასაუბრებაზე, გასაუბრებაზე გამოცხადდა მეორე ეტაპზე - ზეპირ დავალებაზე გამოცხადებული სამივე კანდიდატი, კომისიამ იხელმძღვანელა „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილების მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად კომისიამ გადაწყვეტილება მიიღო კენჭისყრის საფუძველზე. კანდიდატების მიერ კომისიის წევრების მიერ დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხებისა და გამოვლენილი უნარ-ჩვევების შეფასების მიხედვით, კომისიის წევრების მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატებიდან ხმათა უმრავლესობით გამოვლენილ იქნა ირინა მელაძე კომისიის წევრებმა მოიწონეს მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და მხარი დაუჭირეს: მომხრე -4

წინააღმდეგი - 0.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ (საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) - დავით თავართქილაძემ დაეთანხმა მომხსენებელს და აღნიშნა, რომ აღნიშნული კომისიის სხდომის ოქმი მისი შედგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა წარდგენილ იქნას პროფესიულ საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირს - ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ჯამბულ ხოზრევანიძეს, ასევე აღნიშნა, რომ აუცილებელია ღია კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაციის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდის შესაბამის მოდულში ასახვა.

რიბანა მელაძემ აღნიშნა, რომ თითოეულ კანდიდატს ელექტრონულად ეცნობოს მის მიმართ მიღებულ გადაწყვეტილების შესახებ კომისიის გადაწყვეტილება მის მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა

გადაწყვეტის:

1. ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში პროფესიულ საჯარო მოხელის ვაკანტურ - ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის საქმისწარმოების საკითხებში პოზიციაზე კომისიის გადაწყვეტილებით შერჩეული იქნა ირინა მელაძე (პ/ნ -61009020698).
2. კომისიის სხდომის ოქმი მისი შედგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა წარდგენილ იქნას პროფესიულ საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირს - ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ჯამბულ ხოზრევანიძეს.
3. კომისიის გადაწყვეტილების შესახებ მისი მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა ელექტრონულად ან/და წერილობით ეცნობოს თითოეულ კონკურსანტს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.
4. ღია კონკურსში მონაწილე კანდიდატს უფლება აქვს წერილობით მიმართოს საპრეტენზიო კომისიას კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.
5. ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N4 გამოქვეყნდეს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.khulo.ge).
6. ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს ღია კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაციის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდის შესაბამის მოდულში ასახვა.

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის
თავმჯდომარე, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი, საკრებულოს აპარატის უფროსი

 ლევან ქედელიძე;

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, მეორადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ხულოს
მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და
ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი

 დავით თავართქილაძე

საკონკურსო კომისიის წევრი, საქართველოს პედაგოგთა და
მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხულოს რაიონული
საბჭოს თავმჯდომარე

 ემზარ დეკანაძე

შ.პ.ს გაზეთ „ხულოს“ კორესპონდენტი, კომისიის წევრი



რიბანა მელაძე;